

**2018 წლის ინდივიდუალური
ფინანსური ანგარიშგება
შპს "კონკვათი 2018" (ს/კ 437069725)**

შინაარსი :

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
საქმიანობის შედეგები
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართული შენიშვნები და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

1. ზოგადი ინფორმაცია
2. მომზადების საფუძველი
3. ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები
4. სავაჭრო მოთხოვნები
5. გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი
6. სასაქონლო-მატერიალური მარაგები
7. სხვა მიმდინარე აქტივები
8. არამატერიალური აქტივები
9. ძირითადი საშუალებები
10. სავაჭრო ვალდებულებები
11. დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები
12. გადასახადები
13. ფინანსური ვალდებულებები
14. კაპიტალი
15. ამონაგების აღიარება
16. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი
17. წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან
18. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომი მოვლენები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

(თანხები მოცემულია ქართულ ლარში, დამრგვალებულია ათას ლარამდე)

	შენიშვნა	31.12.2018წ.	31.12.2017წ.
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	3	178 128	0
სავაჭრო მოთხოვნები	4	714 369	0
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	5	0	0
მარაგები	6	0	0
- მზა პროდუქცია		38 695	
- სხვა		8 258	0
საინვესტიციო ქონება		-	-
სხვა მიმდინარე აქტივები	7	12 475	0
ბიოლოგიური აქტივები		-	-
- თვითღირებულების მოდელით			
- გადაფასების მოდელით			
გუდვილი		-	-
სხვა არამატერიალური აქტივები	8	0	0
ძირითადი საშუალებები	9	42 873	0
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში		-	-
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში		-	-
სხვა გრძელვადიანი აქტივები		-	-
სულ აქტივები		994 798	0
ვალდებულებები			
ფინანსური იჯარის ვალდებულება		-	-
სავაჭრო ვალდებულებები	10	10 175	-
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები		-	-
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	11	-	-
საგადასახადო ვალდებულებები	12	-	-
გამოუმუშავებელი შემოსავალი	13	-	-
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	14	-	-
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები		928 848	-
მიღებული გრანტები		-	-
სხვა ვალდებულებები	15	61 001	
სულ ვალდებულებები		1 000 024	-
საკუთარი კაპიტალი			
კაპიტალი	16	-	-
საემისიო შემოსავალი		-	-
გამოსყიდული საკუთარი აქციები		-	-
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი		- 5 226	-
გადაფასების რეზერვი		-	-
სხვა რეზერვები		-	-
სულ საკუთარი კაპიტალი		- 5 010	-
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		994 798	

გამოსაშვებად დამტკიცებული და ხელმოწერილია შპს "კონკკატი 2018"-ს სახელით 2019 წლის 25 სექტემბერს

იამა ცენტრადე შპს "კონკკატი 2018"-ს დირექტორი

საქმიანობის შედეგების ანგარიშგება

(თანხები მოცემულია ქართულ ლარში, დამრგვალებულია ათას ლარამდე)

	შენიშვნა	2018წ.
ნეტო ამონაგები		2 120 210
საქონლის გაყიდვიდან		2 120 210
მომსახურების გაწევიდან		-
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	17	-
სხვა		-
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(1 828 238)
საწყისი მარაგები		(0)
მარაგების შესყიდვა		(1 875 191)
გადამუშავების დანახარჯები		(0)
საბოლოო მარაგები		46 953
საერთო მოგება		291 972
სხვა შემოსავალი		-
დასაქმებულთა ანაზღაურება	11	(49 251)
ცვეთა და ამორტიზაცია		(1 253)
საპროცენტო შემოსავალი		-
საპროცენტო ხარჯი	14	(61 001)
იჯარის ხარჯი	18	(5 625)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	19	(217 599)
სულ საოპერაციო ხარჯები		(334 729)
საოპერაციო მოგება		(42 757)
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:		
ფინანსური აქტივები		-
მარაგები		-
სხვა არაფინანსური აქტივები		-
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:	20	37 531
მიღებული დივიდენდები		-
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)		-
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		(5 226)
მოგების გადასახადი		-
მოგება/(ზარალი)		(5 226)
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი		-
სხვა		-

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:		-
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)		(5 226)
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)		-
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)		-
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		-
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		(- 5 226)
კაპიტალის სხვა ცვლილებები		-
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		(-5 226)

გამოსაშვებად დამტკიცებული და ხელმოწერილია შპს "კონკვათი 2018"-ს საბელით 2019 წლის 25 სექტემბერს



იაშა ცენტერაძე შპს "კონკვათი 2018"-ს დირექტორი

ფულადი სახსრების მოძრაობა

(თანხები მოცემულია ქართულ ლარში, დამრგვალებულია ათას ლარამდე)

	2018წ.
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(----
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(----
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	(----
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	(----
სავალუტო კურსის ეფექტი	(---
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	(----
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	(----

გამოსამზადებელი და ხელმოწერილია შპს "კონკვათი 2018"-ს სახელით 2019 წლის 25 სექტემბერს



იაშა ცენტერაძე შპს "კონკვათი 2018"-ს დირექტორი

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „კონკატი 2018“ (შემდგომში „კომპანია“) არის 2018 წლის 15 იანვარს საქართველოში დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებობის საზოგადოება. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. ოზურგეთი, სოფელი კონკატი .

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სოფლის მეურნეობის პროდუქტების შეძენა და ექსპორტზე გატანა .

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას ყავს ორი მეწილე 90%-10%-ის მფლობელი ფიზიკური პირები მალხაზ ზოიძე და პაატაცენტერაძე , მალხაზ ზოიძე ასევე წარმოადგენს კომპანიის დირექტორს.

2. მომზადების საფუძველი

მომზადების საფუძველი

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (შემდგომში “მსს ფასს”), რაც ასახავს კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკას მსს ფასს საფუძველზე (რომელიც გამოიყენება მსს ფასს 35-ე განყოფილების “მსს ფასს-ზე გადასვლა”-ფარგლებში).

კომპანია ნათლად და უპირობოდ აცხადებს, რომ:

- მას წინა პერიოდებში საერთოდ არ წარუდგენია ფინანსური ანგარიშგება და მსს ფასს-ის პირველად გამოყენების თარიღი არის 2018 წლის 15 იანვარი;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტმა გამოიყენა მსს ფასს, ფაქტებისა და გარემოებების საუკეთესო გამოცდილება, რაც ასევე გამოყენებულ იქნება მსს ფასს-ის შემდგომი პერიოდების ფინანსური ანგარიშგების პაკეტის მომზადებისას შესადარისი ინფორმაციის წარმოდგენით.

ფუნქციონირებადი საწარმო

კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით, კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და გამოთქვა კმაყოფილება იმასთან დაკავშირებით, რომ კომპანიას აქვს საკმარისი რესურსი, გააგრძელოს საქმიანობა უახლოეს მომავალში, ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან მინიმუმ 12-თვიანი პერიოდის განმავლობაში. ამასთან, ხელმძღვანელობა არ ფლობს ინფორმაციას, რომელმაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. აქედან გამომდინარე, ეს ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა წარმოადგენს იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტას, რომელშიც იგი ფუნქციონირებს. კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი ("GEL").

წარდგენის ვალუტა

ფინანსური ანგარიშგების წარდგენა ხდება ლარში, თუკი სხვაგვარად არ არის განსაზღვრული.

3. ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები მოიცავს ეროვნულ ვალუტას რეზიდენტ ბანკში და უცხოური ვალუტას რეზიდენტ ბანკში.

თანხა მოცემულია ქართულ ლარში

	2018	2017
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	3 102	-
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	175 026	-
სულ	178 128	-

4. სავაჭრო მოთხოვნები

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების გაანალიზება იმის დასადგენად, ხომ არ არსებობს რაიმე ობიექტური მტკიცებულება, რომ ეს თანხები არ ექვემდებარება ამოღებას. ამგვარი მტკიცებულებების

არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

თანხა მოცემულია ქართულ ლარში

	2018	2017
სავაჭრო მოთხოვნები	714 368	-
უიმედო ვალების რეზერვი	(-)	-
სულ	714 368	-

5. გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი

გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავლები მოიცავს ძირითადი მომწოდებლებისთვის გადახდილ ავანსებს.

თანხა მოცემულია ქართულ ლარში

	2018	2017
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	-	-
სულ	-	-

6. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

კომპანიაში მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შემენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

კომპანიის საქმიანობიდან გამომდინარე მარაგების ძირითადი ნაწილი მოიცავს სამშენებლო-სარემონტო პროდუქციას, (სახარჯი მასალა).

მარაგების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

თანხა მოცემულია ქართულ ლარში

	2018	2017
ნედლეული და მასალები	8 258	-
დაუმთავრებელი წარმოება	38 695	-
მზა პროდუქცია	-	-
სულ	46 953	-

7. სხვა მიმდინარე აქტივები

სხვა მიმდინარე აქტივები მოიცავს საბაჟოზე და საგადასახადო ორგანოში ზედმეტად გადახდილ თანხებს.

თანხა მოცემულია ქართულ ლარში

	2018	2017
საბაჟო გადასახადი	-	-
საგადასახადო აქტივი	12 475	-
სულ	12 475	-

8. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია .

9. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს და აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან დაკავშირებული ნებისმიერი აუცილებელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე შეფასებას. მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეკეთებასა და შენარჩუნებასთან, აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომელშიც წარმოიშვა. ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ნეტო საბალანსო ღირებულებით, რომელიც გამოიანგარიშება მისი თავდაპირველი ღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ძირითადი საშუალების ცვეთა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი ვარგისია გამოსაყენებლად. ცვეთის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს აქტივის ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის განმავლობაში. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ამ აქტივის მოსალოდნელი სარგებლიანობით საწარმოსათვის და ეყრდნობა მსგავსი აქტივების მქონე საწარმოს გამოცდილებას. ასევე, გაითვალისწინება აქტივის ტექნიკური მოძველება და ფიზიკური ცვეთა.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები:

- ნაგებობები 5-50 წელი
- ინვენტარი და დანადგარები 3-20 წელი
- კომპიუტერები და სხვა საოფისე აღჭურვილობა 5-15 წელი
- სანტრანსპორტო საშუალებები 5-15 წელი

-სხვა ძირითადი საშუალებები 5-15 წელი

ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აღნიშნული თანხა უნდა აღირიცხოს სხვა აქტივის საბალანსო ღირებულებაში. ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც აღიარების შეწყვეტა მოხდა.

თანხა მოცემულია ქართულ ლარში

N	ძირითადი საშუალება	ექსპლუატაციაში მიღების თარიღი	სასარგებლო გამოყენების ვადა	დაგროვილი ცვეთა	ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბერს
1	ელექტრო გენერატორი GDE50001	25,09,2018	5 წელი	90,09	1 605
2	მანდარინის დამზარისხებელი დანადგარი	23,10,2018	5 წელი	801	20 385
3	იჯარით აღებული საწყობის ქეტილ მოწყობა	01,12,2018	5 წელი	361	20883
4					42 873

10. სავაჭრო ვალდებულებები

აღნიშნული თანხები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე აღებულ ვალდებულებებს და პროცენტებს არ ითვალისწინებს. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება კომპანიის ფულად ერთეულში (ლარში), საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

11. დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

ხელფასები, გასამრჯელოები, ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულებები, ბიულეტენები, პრემიები და არაფულადი სარგებლები კომპანიის მიერ ექვემდებარება დარიცხვას იმავე პერიოდში, რომელშიც კომპანიის თანამშრომლების მიერ შესაბამისი მომსახურება იქნა გაწეული. კომპანიას არ აქვს რაიმე სახის საპენსიო ან მსგავსი პროგრამის (მათ შორის თანამშრომლის სამსახურის შემდგომი სარგებლის სახით) იურიდიული თუ არაკონტრაქტული ვალდებულება.

12. გადასახადები

მოგების გადასახადი

საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, შეიცვალა კომპანიების დაბეგვრის ადრე არსებული მოდელი, რომელიც ყველა პირისთვის, გარდა გარკვეული გამონაკლისებისა, ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან.

ახალი, ე.წ. "ესტონური", მოდელის მიხედვით, კომპანიებს აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მოგებიდან (რომელიც მიღებულია 2017 წლის 1 იანვრიდან) მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდების, ან სხვა ფორმით (მანამდე არსებული მოდელის მიხედვით, კომპანიის მოგება 15%-იანი გადასახადით იბეგრებოდა იმის მიუხედავად, ხდებოდა თუ არა წმინდა მოგების დივიდენდის სახით განაწილება).

დღგ

კომპანიის მიერ გაყიდვების/მომსახურების გაწევის ოპერაციებთან დაკავშირებული დღგ სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელია მიწოდებული საქონლის ან გაწეული მომსახურების შესაბამისად, კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში. კომპანიას შეუძლია განახორციელოს დღგ-ს ჩათვლა შესაბამისი ჩასათვლელი თანხების დეკლარირების გზით. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დაშვებულია გადამხდელის მიერ დღგ-ის თანხის გადახდა ე.წ. „წმინდა თანხის“ საფუძველზე (მიღებული დღგ-ს ჩათვლის გათვალისწინებით). აღსანიშნავია რომ , 2018 წლის განმავლობაში კომპანიას არ ჰქონია დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციები ,რადგანაც მის მიერ მიღებული შემოსავლების 100 % -ით შეადგენდა ექსპორტით მიღებულ შემოსავლებს , რომელიც ჩვენი კანონმდებლობით ჩათვლის უფლებით განთავისუფლებულია დამატებული ღირებულების გადასახადისაგან .

13. ფინანსური ვალდებულებები

სესხები თავდაპირველად საოპერაციო ფასით აისახება (ანუ კრედიტორისათვის გადასახდელი თანხის ახლანდელი ღირებულება, საოპერაციო ხარჯების ჩათვლით).

ნასესხები სახსრების აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც მათთან დაკავშირებული ვალდებულება შესრულდება, გაბათილდება ან ამოიწურება და თუ მისი პირობები არსებითად შეიცვლება.

თანხა მოცემულია ქართულ ლარში

სესხები	2018	2017
სესხი ფიზიკური პირისგან	928 848	-
სესხზე გადასახდელი პროცენტები	61 001	-

14. კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისგან, გაუნაწილებელი მოგებისგან, რომელშიც შედის მიმდინარე წლის მოგება ან ზარალი.

კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 0 ლარს.

კაპიტალის მართვის მიზნებია:

- კომპანიის სტაბილურობის საჭირო დონის შენარჩუნება და ამით მფლობელებისთვის გარკვეული უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- კაპიტალის ეფექტურად მართვა და საქმიანობის განვითარების მხარდაჭერა იმის უზრუნველყოფით, რომ გამოყენებულ კაპიტალზე უკუგება აკმაყოფილებდეს მფლობელთა მოთხოვნებს;
- მტკიცე ფინანსური პოზიციის შენარჩუნება, საქმიანობის გაფართოების ხელშეწყობა და მფლობელებისთვის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

დივიდენდების აღიარება ხდება, როგორც ვალდებულება და გამოიქვითება კაპიტალიდან ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის მხოლოდ მაშინ, თუ ისინი გამოცხადებულია ანგარიშგების შედგენამდე პერიოდში ან ანგარიშგების შედგენის თარიღით. დივიდენდები ცხადდება, როდესაც მათი შეთავაზება ანგარიშგების შედგენის თარიღამდე ხდება, ან თუ ისინი შეთავაზებულია ან გამოცხადებულია ანგარიშგების თარიღის შემდგომ პერიოდში, მაგრამ ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე.

კომპანიას 2018 წლებში არ მოუხდენია დივიდენდის გაცემა დამფუძნებლებზე.

კომპანიამ 2018 წელი დაასრულა 5226 ლარის ზარალით .

თანხა მოცემულია ქართულ ლარში

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ბალანსი 01 იანვარი 2018წ.	-	-	-
შენატანი	-	-	-
გაცემა	-	-	-
დივიდენდები	-	-	-
მიმდინარე წლის მოგება/ზარალი	(- 5226)	(-5 226)	(- 5 226)
ბალანსი 31 დეკემბერი 2018	-	(-5 226)	(-5 226)

15. ამონაგების აღიარება

ამონაგები მოიცავს მხოლოდ კომპანიის მიერ თავის ანგარიშზე მიღებულ ან მისაღებ ეკონომიკური სარგებლის საერთო თანხას. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით.

ამონაგების აღიარება ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსალოდნელია მოცემული ოპერაციიდან ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში. როდესაც ჩნდება

განუსაზღვრელობა ამონაგებში უკვე ჩართული თანხის მიმართ, ამოუღებელი თანხა ანუ თანხა, რომლის ამოღების ალბათობა ნულის ტოლია, აღიარებული იქნება როგორც ხარჯი.

შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე. გაყიდვები ნაჩვენებია დღგ-ს გარეშე.

16. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

თანხა მოცემულია ქართულ ლარში

	2018
ცვეთა და ამორტიზაცია	1 252
შრომის ანაზღაურება	49 251
საიჯარო ხარჯი	5 625
გაყიდული შეძენილი საქონელი	1 828 237
საბანკო მომსახურების ხარჯი	4 880
სესხის პროცენტი	61 001
სხვა ხარჯი	212 568
სულ	2 162 814

17. წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება გარიგების დღეს არსებული კურსით.

თანხა მოცემულია ქართულ ლარში

	2018
საკურსო სხვაობიდან მიღებული ზარალი	(8 480)
საკურსო სხვაობიდან მიღებული მოგება	46 011
ნეტო შედეგი	37 531

18. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომ მნიშვნელოვანი მოვლენები არ მომხდარა.

აღნიშნული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს "კონკვათი 2018"

დირექტორი : იაშა ცენტერაძე -----

